კონსტრუქციული დასკვნა

ქალაქი თბილისი, მოედანი გულია, კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85)/ქალაქი თბილისი, მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის; ქ.თბილისი მარცხენა სანაპირო 3/15-ში ასაშენებელი შენობის პროექტის კორექტირებით გათვალისწინებული სამუშაოების მიზანშეწონილობის და აუცილებლობის შესახებ.

ქალაქი თბილისი, მოედანი გულია, კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ.8/85)/ქალაქი თბილისი, მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის; ქ.თბილისი მარცხენა სანაპირო 3/15-ში დაპროექტებულია 14 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომლის მშენებლობა მიმდინარეობდა 2008 წელს და ორი ავტოფარეხის სართულის აშენების შემდგომ მშენებლობა შეჩერდა.

არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტით, დაპროექტებული შენობა 0.00 ნიშნულამდე არასიმეტრიულია და საკადასტრო ფართი სრული მოცულობით არის ათვისებული. 0.00 ნიშნულიდან პირველი სართული კომერციული ფართია, შემდეგი სართულები კი საცხოვრებელი სართულებია და თუ არ ჩავთვლით ცალკეულ კონსულურ აივნებსა და გარკვეული გეგმარებით სხვადასხვაობებს, კონსტრუქციულად ტიპიურ სართულებს წარმოადგენენ.

არსებული პროექტის მიხედვით შენობის კონსტრუქციული სქემა განხორციელებულია მონოლითული რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი სისტემით. სართულშუა გადახურა მონოლითური რკინაბეტონის ურიგელო ფილაა, სისქით 18სმ.

ამჟამად არსებული ორსართულიანი დაუმთავრებელი კონსტრუქცია პროექტის მიხედვით არის აშენებული. საძირკველი მონოლითული რკინაბეტონის 70 სმ-იანი ფილაა, რომელიც 80-:-100 სმ დიამეტრის ხიმინჯების სისტემით ეფუძნება დაახლოებით 4 მ სიმძლავრის კენჭნაროვან ფუძეს. 80 სმ დიამეტრის ხიმინჯები ფილის პერიმეტრზეა მოწყობილი, 100 სმ კი - დანარჩენ ნაწილში ხიმინჯების ველის სახით. ხიმინჯების სიგრძე 6-:-7 მ-ია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული აშენებულია მხოლოდ ორი ავტოფარეხის სართული 0.00 ნიშნულზე გადახურვის ფილით. ვიზუალურად მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა, ცალკეული გამონაკლისის გარდა დამაკმაყოფილებელია. ურღვევი მეთოდით ბეტონის სიმტკიცის შემოწმების მიხედვით მზიდი კონსტრუქციების - სვეტების, რიგელების, პანდუსების, დიაფრაგმების და გადახურვის ფილების სიმტკიცე, საპროექტო სიმტკიცის B25-ის ფარგლებშია. ამასთანავე 0.00 ნიშნულის ზემოთ სვეტებისა და დიაფრაგმების არმატურის ნაშვერები ნაწილობრივ კოროზირებულია, მშენებლობის კონსერვაციის მოთხოვნების დარღვევის გამო.

მშენებლობის განახლებასთან დაკავშირებით განხორციელდა პროექტის არქიტექტურული ნაწილის კორექტირება, რაც გარდა გეგმარებითი ცვლილებებისა ითვალისწინებს არსებულ 14 სართულზე 2 სართულის დამატებას და შენობა ხდება 16 სართულიანი, რაც გაზრდილი დატვირთვების პირობებში მნიშვნელოვნად ცვლის შენობის კონსტრუქციის მუშაობას, ამიტომ კორექტირებული არქიტექტურული პროექტის რეალიზაციისათვის, აუცილებელი იქნება შესაბამისი კონსტრუქციული ღონისძიებების განხორციელება, არსებული ორი სართულის კონსტრუქციის გამოყენებით, რისთვისაც უნდა შესრულდეს შემდეგი ღონისძიებები:

- დამატებით უნდა იქნას გამოკვლეული არსებული ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების ბეტონის სიმტკიცე.

- წინასწარი ანგარიშის მიხედვით საჭირო იქნება არსებული 70 სმ სისქის საძირკვლის ფილის გაძლიერება მისი სისქის მომატებით 30-:-40 სმ-ით, რის შედეგად ფილის სისქე 1.0-:-1.10 მ გახდება.
- საჭირო იქნება ცალკეული სვეტების გაძლიერება.
- შესაბამისი ზომები უნდა იქნას მიღებული 0.00 ნიშნულზე არმატურის ნაშვერების კოროზიის წინააღმდეგ.
- აღნიშნული ღონისძიებები უნდა შესრულდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით დამუშავებული დეტალური კონსტრუქციული პროექტის შესაბამისად

ამრიგად, ქალაქი თბილისი, მოედანი გულია, კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85)/ქალაქი თბილისი, მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის; ქ. თბილისი მარცხენა სანაპირო 3/15-ში ასაშენებელი შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი და მიზანშეწონილია კორექტირებით გათვალისწინებული კონსტრუქციული ღონისძიებების შესრულება არსებული ორი სართულის კონსტრუქციების გამოყენებით.

მშენებელ ინჟინერი, კონსტრუქტორი

გენრიხ ბერიძე

პ/ნ 01011048408

28.07.2014 წ